



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომისა და სადოქტორო დისერტაციის მომზადების გზამკვლევი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 11/09/2014 წ-გადაწყვეტილება №3 (დანართი №:2)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული ინსტრუქცია წაკითხული და
მიღებულია

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე
დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების
განხორციელებას.

მომზადდა:	სამუშაო ჯგუფი	
შეამოწმა:	ხარისხის მართვის კომისია	
დაამტკიცა:	აკადემიური საბჭო	

დოკუმენტის No: IBSU.R3.I11G

განახლების

თარიღი:04/03/2016

შემოწმებული ვერსია

შეუმოწმებელი ვერსია

თარიღი: 11/09/2014

შხსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით,
რომ დოკუმენტაციის ჩამონათვალში აღნიშნულ დოკუმენტს აქვს საბოლოო განახლების ნომერი.
ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში ხარისხის მართვის კომისიას წარუდგინეთ
დოკუმენტის ცვლილებების მოთხოვნის ფორმა.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები:.....	3
ცვლილებების ნუსხა	4
თავი I. შესავალი.....	5
1.1 კვლევითი ნაშრომი არის როგორც კვლევისა, ისე წერის სპეციფიკური ფორმა.....	5
თავი II. როგორ დავიწყეთ კვლევა?.....	7
2.1. კვლევის თემის შერჩევა	7
2.2. პრობლემის ჩამოყალიბება	8
2.3. კვლევის მიზნის ჩამოყალიბება	10
2.4. საკვლევი საკითხების ჩამოყალიბება	12
2.5. ჰიპოთეზის ფორმულირება.....	13
2.6. ლიტერატურის მიმოხილვა	14
2.7. სტრუქტურა	16
თავი III. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომისა და სადოქტორო დისერტაციის სტრუქტურა...22	
3.1 ბეჭდვა	22
3.2 ქალაქი	22
3.3 მინდვრები	22
3.4 გვერდების დანომრვა	22
3.5 ამობეჭდვა და აკინძვა.....	23
3.6 ელექტრონული წარდგენა.....	23
თავი IV. ეთიკა კვლევაში, პლაგიატი	24
4.1 ეთიკა	24
4.2 პლაგიატი.....	24
დანართი 1. სატიტულო გვერდები	26
დანართი 3. სადოქტორო დისერტაციის ვრცელი რეზიუმე (სანიმუშო სტრუქტურა)	33
დანართი 4. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის, დისერტაციის შემოწმების ფურცელი.....	34

შეტანილი ცვლილებები:

- 1. აკადემიური საბჭოს 2015 წლის 05 მაისის #6 გადაწყვეტილება;*
- 2. აკადემიური საბჭოს 2016 წლის 04 მარტის #1 გადაწყვეტილება.*

თავდაპირველი ვარიანტი: [11.09.2014](#)

ცვლილებების ნუსხა			
#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01	05.05.2015	დანართები	1,2,3,4 დანართები შეიცვალა
02	04.03.2016	2.2 ¹	კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები დაემატა

თავი I. შესავალი

გზამკვლევის მიზანია, დაეხმაროს სტუდენტებს (ბაკალავრებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს) კვლევითი ნაშრომის დაწერაში, მისცეს დამწყებ მკვლევარებს აუცილებელი ცოდნა და უნარი, რათა შეძლონ, მიაღწიონ თავიანთ ამოცანას - დაწერონ კვლევითი ნაშრომი, რომელიც დააკმაყოფილებს როგორც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში „შუსუ“), ისე საერთაშორისო მოთხოვნებს. ჩვენ შევეცადეთ, დავხმარებოდით სტუდენტებს, გახდნენ საკუთარი ნაშრომის კრიტიკული მკითხველები და რედაქტორები.

მეცნიერული კვლევა არის სისტემური მცდელობა, არა მარტო შეაგროვო ინფორმაცია შერჩეული პრობლემისა ან საკითხის შესახებ, არამედ გაანალიზო ეს ინფორმაცია, დაადასტურო ან უგულებელყო გარკვეული შეხედულებები ამ თემაზე და საკუთარი დასკვნების არგუმენტები მოიყვანო.

1.1 კვლევითი ნაშრომი არის როგორც კვლევისა, ისე წერის სპეციფიკური ფორმა.

ჩვენ ვაწარმოებთ კვლევას, როდესაც გვსურს, შევისწავლოთ საკითხი, შევამოწმოთ იდეა, გადავჭრათ არსებული პრობლემა ან დავაყენოთ ისეთი საკითხი, რომელიც მოითხოვს უფრო სიღრმისეულ შესწავლას. ამ შემთხვევაში ჩვენ ვცდილობთ მოვიპოვოთ საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული, ჩვენი საკუთარი კვლევის გარდა სხვა კვლევები. კვლევითი ნაშრომი წარმოადგენს კვლევის მონაპოვრებსა და შედეგებს.

კვლევითი ნაშრომი ძირითადად ეფუძნება პირველად და მეორად კვლევას ან ორივეს კომბინირებას. პირველადი კვლევა არის ისეთი ნაშრომი, რომელიც იყენებს უშუალო დაკვირვებასა და კვლევას, მაგალითად, ლიტერატურული ან ისტორიული ტექსტის, კინოფილმისა ან სპექტაკლის შესწავლა, მიმოხილვისა ან ინტერვიუების გამოყენება, ექსპერიმენტის განხორციელება. პირველად წყაროებს შორის არის: სტატისტიკური მონაცემები, ისტორიული დოკუმენტები, ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშები. მეორადი კვლევა არის სხვა მკვლევარების მიერ ჩატარებული კვლევების შეფასება. მეორადი წყაროების მაგალითებია წიგნები და სტატიები პოლიტიკური საკითხების, ისტორიული მოვლენების, სამეცნიერო დისკუსიების ან მხატვრული ნაწარმოების შესახებ. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის პირველი თავი ძირითადად მოიცავს მეორად კვლევას (ლიტერატურის მიმოხილვას). კვლევითი ნაშრომი არის წერითი კომუნიკაციის ფორმა. მსგავსად სხვა არა-მხატვრული წერისა, მასში ინფორმაცია ცხადად და ეფექტურად უნდა იყოს წარმოდგენილი, მაშასადამე, კვლევითი ნაშრომის ენა უნდა იყოს აკადემიური და ნათელი.

მოცემული გზამკვლევი მოიცავს რჩევებს კვლევითი ნაშრომის მოსამზადებლად. თუმცა მკვლევარს სჭირდება, სრულად წარმოადგინოს ფაქტები და შეხედულებები, ამ უკანასკნელის მიზანია, დაადასტურონ მკვლევარის შეხედულებები და უზრუნველყონ სრული ინფორმაცია გამოყენებული წყაროების შესახებ. ფაქტები და სხვა კვლევარების შეხედულებები



საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომისა და სადოქტორო დისერტაციის
მომზადების გზამკვლევი

არ უნდა დომინირებდეს კვლევით ნაშრომში თქვენ საკუთარ აზრებთან შედარებით. მკითხველს უნდა შეეძლოს, გაერკვეს საკვლევი საკითხის შესახებ თქვენს აზრებში.

თავი II. როგორ დავიწყოთ კვლევა?

2.1. კვლევის თემის შერჩევა

თემის შერჩევისას მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ:

- 1) თქვენი ინტერესები და გამოცდილება;
- 2) თქვენი და პოტენციური ხელმძღვანელის კვალიფიკაცია;
- 3) საზოგადოების მოთხოვნილებები;
- 4) დროისა და ლიტერატურის რესურსები.

მნელია, გამოიკვლიო თემა, რომელიც ხელმძღვანელმა შემოგთავაზათ. ის შესაძლოა არ იყოს თქვენთვის საინტერესო, მაშინ თქვენი მოტივაცია იქნება დაბალი. გარდა ამისა, თუ თემა არ არის როგორმე დაკავშირებული თქვენს გამოცდილებასთან (მაგალითად, როგორც სტუდენტმა-ბაკალავრმა თქვენ ამ საკითხზე პრეზენტაცია გააკეთეთ ან საკონფერენციო მოხსენება წარმოადგინეთ, ნაშრომები გაქვთ წაკითხული. თუ მაგისტრანტი ან დოქტორანტი ხართ, თქვენი სამუშაო დაკავშირებულია ამ საკითხთან), გაგიჭირდებათ თემის გაანალიზება.

ინტერესი და გამოცდილება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ გაქვთ კი საკმარისი კვალიფიკაცია არჩეული თემისათვის? თუ, მაგალითად, არ გისწავლიათ ლექსიკოლოგია, თქვენ სავარაუდოდ ვერ დაწერთ მაღალ დონეზე თემას ლექსიკის სწავლების შესახებ ან ძალიან ბევრი შრომა მოგიწევთ ასეთი თემის დასაწერად. თქვენი ხელმძღვანელი შესაძლოა იყოს ფსიქოლოგი, მაგრამ, თუ თქვენ გინდათ იმუშაოთ კრიმინალურ ფსიქოლოგიასთან დაკავშირებულ თემაზე და თქვენ ხელმძღვანელს ასეთ თემასთან არ ჰქონია შეხება, ის თქვენ დიდად ვერ დაგეხმარებათ. მაშასადამე, არჩეული თემა უნდა იყოს როგორც თქვენი, ისე ხელმძღვანელის „ძლიერი მხარე“.

საბაკალავრო კვლევას უნდა გააჩნდეს გარკვეული პრაქტიკული ღირებულება, სამაგისტრო და სადოქტორო თემას კი - როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული ღირებულება. ამდენად, თემა, რომელსაც თქვენ აირჩევთ და შეთანხმდებით, უნდა არამარტო „ღირებულო“ იყოს თქვენთვის და ხელმძღვანელისთვის, არამედ საზოგადოებისთვის სასარგებლო - შესაძლოა, იმ დაწესებულებისთვის, რომელშიც თქვენ მუშაობთ, ან გარკვეული ტიპის დაწესებულებებისთვის თქვენს რეგიონში, ქვეყანაში ან მთელი მსოფლიოს მასშტაბით. დააკვირდით, რა პრობლემები არსებობს თქვენს სამუშაო ანდ აკადემიურ პროცესებში, ეცადეთ, გაარკვიოთ, რამდენად გავრცელებულია ის პრობლემები, რომლებიც თქვენ გაწუხებენ. თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ისინი რეალურ პრობლემას წარმოადგენენ და თუ ამ პრობლემის გადაჭრა სარგებლობას მოუტანს თქვენს უნივერსიტეტს, ქალაქს და ა.შ., ეს ნიშნავს, რომ თქვენ მიაგენით თემას, რომლის გამოკვლევა ნამდვილად ღირს.

არ აირჩიოთ ზოგადი, გლობალური თემები, ისეთი, როგორცაა, მაგალითად, „საგანმანათლებლო პროგრამული უზრუნველყოფა“. იმისათვის, რომ ასეთი თემა საკმაოდ ღრმად შეისწავლოთ, წლები დაგჭირდებათ. გაითვალისწინეთ დროის ფაქტორი და აირჩიეთ უფრო ვიწრო თემა, რომლის შესწავლასაც მოასწრებთ დროის იმ მონაკვეთში, რომელიც თქვენ

გაგაჩნიათ. მაგალითად, „საგანმანათლებლო პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება დაწყებით სკოლაში მათემატიკის სასწავლებლად“. ამავდროულად, არ აირჩიოთ (განსაკუთრებით, სამაგისტრო და სადოქტორო კვლევისთვის) ზედმეტად ვიწრო თემა: ის საინტერესო / სასარგებლო იქნება ვიწრო სპეციალისტისთვის, გარდა ამისა, გაგიჭირდებათ მასზე ლიტერატურის მოპოვება.

თუ მოიძიეთ ლიტერატურა და აღმოაჩინეთ რესურსების დიდი ოდენობა, არის იმის საშიშროება, რომ თემა იმდენად კარგად არის შესწავლილი, რომ მასთან დაკავშირებით ახალს ვეღარაფერს იტყვით. თუმცა სიახლის გარკვეული დონე საბაკალავრო ნაშრომისგანაც კი არის მოსალოდნელი. და პირიქით, თუ ძალიან გაგიჭირდათ თემაზე ლიტერატურის მოძიება, ასეთი თემის გამოკვლევა შეიძლება პრობლემური აღმოჩნდეს. თანაც, შესაძლოა, თემით არავინ დაინტერესდეს.

თუ უკვე აირჩიეთ თემა, მასზე მუშაობის პროცესში შეიძლება დაგჭირდეთ მისი ფორმულირების დაზუსტება / მოდიფიცირება. ეს ნორმალური სიტუაციაა, რადგან შეუძლებელია, წინასწარვე გაითვალისწინო ყველა დეტალი. ამასთან, მხედველობაში უნდა მიიღოთ უნივერსიტეტის მიერ თემის სათაურის ცვლილებისათვის დადგენილი დრო და პროცედურა.

2.2. პრობლემის ჩამოყალიბება

პრობლემა ის მიზეზია, რომლის გამოც ვაწარმოებთ კვლევას, რადგან პრობლემა უნდა გადაიჭრას რაღაცა დონეზე მაინც. თქვენი კვლევის სფეროზე დაკვირვება, შესაბამისი ლიტერატურის წაკითხვა, მოცემულ დარგში გამოცდილება (თუ სტუდენტს ის გააჩნია) დაგეხმარებათ პრობლემის გადაჭრაში. ზოგიერთ სტუდენტს ჰგონია, მას არა აქვს დარგის გამოცდილება (მაგალითად, მათემატიკაში, ფილოლოგიაში და ა.შ. საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს არა აქვთ ამ საგნების სწავლების გამოცდილება), სინამდვილეში მათ აქვთ ამ დარგის გამოცდილება - ოღონდ სტუდენტის კუთხიდან, რომელიც არანაკლებ ღირებულია.

კვლევის მსგავსად, რომელიც შეიძლება იყოს რაოდენობრივი (რომელიც გარკვეულ ცვლადებს ზომავს) ან თვისობრივი (რომელიც შეიმუშავებს გარკვეულ მოდელს), პრობლემის ჩამოყალიბება განსხვავებულია და შესაძლებელია.

რაოდენობრივი პრობლემის ჩამოყალიბებისას მახვილი კეთდება რამე შედეგისა ან მოვლენის ახსნა, პროგნოზირება ან აღწერაზე.

იხილეთ ასეთი კვლევის მაგალითი, რომელიც ჩატარდა 2000 წელს.

შემჩნეულია, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების სირთულეები ასაკოვან ლექტორებს აქვთ. ამისთვის რამდენიმე მიზეზი არსებობს: ინტერესის დაბალი დონე, კომპიუტერის მიუწვდომლობა, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური მიზეზები და სხვ. დღესდღეობით უნივერსიტეტების მოთხოვნაა, ლექტორს შეეძლოს კომპიუტერის გამოყენება.

შესაბამისად, 60 წელს გადაცილებული ლექტორების რაოდენობამ თბილისის უნივერსიტეტებში საგრძნობლად იკლო. არსებობს თუ არა კავშირი ლექტორების ასაკსა და კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს შორის? ახდენს თუ არა გავლენას ლექტორის ასაკი და კომპიუტერული უნარ-ჩვევების დაბალი დონე მათ მიერ სწავლების ხარისხზე? რა არის ამ პრობლემის გადაწყვეტა?

ამ აზრის ავტორს შემოაქვს ზოგადი თემა და იგი აყალიბებს პრობლემას. შემდეგ ის აგრძელებს იმ პრობლემების განსაზღვრას, რომლებსაც შესაძლოა შეხვდეს ლექტორი, რომელსაც არა აქვს ადეკვატური კომპიუტერული უნარ-ჩვევები. ყველა ეს საკვლევი პრობლემა ლოგიკურია, რადგან ისინი ასახავენ განათლების სფეროს ისეთ ასპექტს, რომელიც გადაჭრას მოითხოვს.

რაოდენობრივი კვლევები შეიძლება ჩატარდეს, რადგან შესწავლილ იქნას არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. ისინი ყურადღებას ამახვილებენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე, ადგენენ ცვლადებს შორის დამოკიდებულების ტიპს. რაოდენობრივი კვლევა ხშირად მოიცავს ჰიპოთეზას, რომლის სისწორეც უნდა შემოწმდეს კვლევის პროცესში.

თვისობრივ კვლევაში საკვლევი პრობლემა ფოკუსირებულია რაღაც პროცესის, ღონისძიების ან მოვლენის განსაზღვრასა ან ახსნაზე. მაგალითად:

ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში მატულობს ყოველ წელს მთელ მსოფლიოში. საქართველო, რომელსაც აქვს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობის მდიდარი ტრადიციები, ამჟამად ეძებს ამ სიტუაციის ადეკვატური გამოყენების გზებს. იმის აღიარება, რომ ქალები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თანამედროვე პოლიტიკაში, უაღრესად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ გენდერული წონასწორობა პოლიტიკაში და უზრუნველყოთ ქვეყნის შემდგომი განვითარება. ქართველი ქალებისთვის უმაღლესი განათლების, სამეცნიერო და მრავალი პროფესიული კარიერის ფართო მისაწვდომობა, ისევე, როგორც მსოფლიო ტენდენციები, პოლიტიკური გადაწყვეტილებები გახდეს უფრო გაწონასწორებული. მათში ქალთა მონაწილეობის მეშვეობით, ქმნის კარგ საფუძველს მათი წინსვლისთვის სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღებაში. ყველაფერმა ამან ყურადღება მიიპყრო იმ პრობლემებისადმი, რომლებიც არსებობს საქართველოში ამ მიმართულებით. სხვა დიდი პრობლემაა საზოგადოებისთვის არის ყალბი ქალი-ლიდერის შემოთავაზება - რომელსაც უკავია თანამდებობა, მაგრამ არა აქვს ავტორიტეტი. ე.წ. „შუმის ჭერი“ ასევე მზარდი მნიშვნელობის მქონე პრობლემაა, თუმცა მთავრობა ცდილობს ამ სიტუაციის დამალვას და სიტყვიერად აღიარებს ქალთა თანასწორ უფლებებს როგორც დემოკრატიის განუყოფელ ნაწილს. მხოლოდ ქალთა სრული ჩართვით დემოკრატიულ პროცესებში შესაძლებელია მივაღწიოთ ქვეყნის სტაბილურ განვითარებას. რა ბერკეტები შეგვიძლია გამოვიყენოთ ამისათვის? რა თვისობრივ ცვლილებებს ველით უახლოეს მომავალში?

ამ მაგალითში ავტორი იწყებს პოლიტიკაში მონაწილეობის მნიშვნელობას მტკიცებულებით და შემდეგ ახასიათებს ამ მიმართულებით არსებულ ხარვეზებს. მასში ასახულია თვისობრივი კვლევის პრობლემა. ეს კვლევა მიზნად ისახავს აღნიშნული პროცესის

თვისობრივი (ასევე რაოდენობრივი) მეთოდებით შესწავლას. ავტორი ეცდება, უპასუხოს დასმულ კითხვებს.

2.2.¹ კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის მეთოდები

კვლევის პროცესში გამოყენებული შეიძლება იყოს შემდეგი მეთოდოლოგია და მეთოდები:

ა) ამერიკისმცოდნეობა/აშშ-ს საგარეო ურთიერთობები:

ქეის სთადი (კონკრეტული შემთხვევის კვლევა), შინაარსობრივი ანალიზი, დაკვირვება და კონტროლი, ინტერვიუ, ონლაინ ინტერვიუ, ანკეტირება, დოკუმენტებისა და ტექსტების ანალიზი.

ბ) კომპიუტერული მეცნიერება და საინჟინრო საქმე:

ახალი პროგრამების განვითარება არსებულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ალგორითმებზე დაყრდნობით; მიმდინარე ალგორითმების გამოყენება განსაკუთრებული პრობლემების გადასაჭრელად; კომპიუტერული და სხვა მიმართულებების მიმდინარე მონაცემთა ანალიზის მოდელირება.

გ) სოცილური მეცნიერებები:

კვლევა პირველად მონაცემებზე (ინტერვიუ, დაკვირვება, შინაარსობრივი ანალიზი, დისკუსის ანალიზი) ან მეორად მონაცემებზე (ინტერპრეტაცია/თეორიების ანალიზი და ემპირული მონაცემები) დაყრდნობით.

დ) ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები):

რაოდენობრივი კვლევა: სტატისტიკური, რეგრესიის ანალიზი, ფუნქციები, ფორმულის შედგენა, მოდელის შედგენა და შემოწმება;

ხარისხობრივი კვლევა: ინტერვიუ, სცენარის შექმნა, დაკვირვება, კაზუსები, ფოკუს ჯგუფების გამოკითხვა, მომხმარებლის გამოკითხვა.

ე) განათლების მეცნიერება:

ინტერვიუ, კითხვარი, შემთხვევის ანალიზი, დაკვირვება, ექსპერიმენტი (ერთ-ერთი მათგანი აკმაყოფილებს სამაგისტრო მოთხოვნებს; განათლების მენეჯმენტის ქეის სთადი ექსპერიმენტის

ვ) თურქული ფილოლოგია:

პრაქტიკული კვლევა: მონაწილეებსა და არა მონაწილეებზე დაკვირვება, კითხვარები, კვლევები, ინტერვიუები, სადისკუსიო ჯგუფები;

თეორიული კვლევა: ჰერმენევტიკა, ინტერპრეტაცია, დისკურსის ანალიზი, შედარებითი ანალიზი, ტექსტის ანალიზი.

[კვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 04 მარტის #1 გადაწყვეტილებით.](#)

2.3. კვლევის მიზნის ჩამოყალიბება

კვლევის მიზანი არის მკვლევარის გეგმების ამსახველი. იგი ლოგიკურად გამომდინარეობს საკვლევი პრობლემიდან. მისი განსაზღვრა აუცილებელია, რადგან კვლევის კარგად ჩამოყალიბებული მიზნიდან ჩანს, რამდენად ცხადად ესმის მკვლევარს, თუ რის გაკეთებას აპირებს.

კვლევის დასაწყისიდანვე კვლევის მიზნის განსაზღვრა საშუალებას აძლევს მკვლევარს, ადეკვატურად დაგეგმოს კვლევა. კვლევის მიზანი ეხმარება მას, მაგალითად, გაარკვიოს, რა მეთოდებით იქნება ინფორმაცია მოგროვებული. კვლევის მიზანი სხვადასხვანაირად დაიწერება იქიდან გამომდინარე, თვისობრივ თუ რაოდენობრივ კვლევას ატარებთ.

კვლევის მიზნის ფორმულირება რაოდენობრივ კვლევაში არის მტკიცებითი წინადადება, რომელიც განსაზღვრავს, თუ რატომ ტარდება კვლევა და რა ურთიერთობები ცვლადებს შორის იქნება შესწავლილი. ეს ურთიერთობა შესაძლოა იყოს მიზეზობრივი ან აღწერითი. მაგალითად, თუ თქვენ გსურთ, გამოიკვლიოთ მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობა, რომელიც არსებობს ინტერნეტის საშუალებით საქმიანი წერის სწავლებასა და ამ სწავლების გავლენას შორის სტუდენტების კომუნიკაციის უნარ-ჩვევებზე, თქვენი მიზანი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს:

მოცემული კვლევის მიზანია, გამოვიკვლიოთ ის გავლენა, რომელიც ინტერნეტის საშუალებით წერის სწავლებას აქვს სტუდენტების კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებზე (მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობა: იწვევს თუ არა ერთი ცვლადის ზრდა მეორე ცვლადის ზრდას?).

მეორე მხრივ, თუ თქვენ გაინტერესებთ აღწერით, თუ რამდენად ურთიერთდაკავშირებულია ინტერნეტის საშუალებით საქმიანი კომუნიკაცია და სწავლის ეფექტურობა, თქვენი მიზნის ფორმულირება შემდეგი იქნება:

მოცემული კვლევის მიზანია, აღვწეროთ, თუ რამდენად ახდენს გავლენას ინტერნეტის საშუალებით ბიზნეს-კომუნიკაციის გამოყენება სტუდენტის სწავლის ხარისხზე (აღწერითი ურთიერთობა: რა დონეზე ახდენს ერთი ცვლადის ზრდა მეორე ცვლადის ზრდაზე?)

მიზნის ორივე მოყვანილი ფორმულირება განსაზღვრავს მკვლევარის გეგმასა და გასაზომ ცვლადებს. ორივე ფორმულირება ასახავს ძირითად პარამეტრებს, რომლებიც უნდა ახასიათებდეს მიზანს: ურთიერთობათა ტიპს და ცვლადებს. მიზნის ასეთი დაკონკრეტება აუცილებელია, რათა მკვეთრად გაირკვეს კვლევის მიმართულება.

თვისობრივ კვლევაში მიზნის ფორმულირება უნდა იყოს წინადადება, რომელიც ასახავს მკვლევარის გეგმას, შეისწავლოს ან უკეთესად გაიგოს რამე მოვლენა ამა თუ იმ სფეროში. ეს ნიშნავს, რომ თვისობრივი კვლევის მიზანი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. გადმოსცემდეს, თუ რის აღწერას, გაგებას, განვითარებას ან აღმოჩენას აპირებს მკვლევარი.
2. განსაზღვრავდეს ცენტრალურ იდეას, რომლის გაგებას, განვითარებას ან აღმოჩენასაც აპირებთ.
3. მიუთითოს ის გზა (მეთოდი), რომლითაც აპირებთ შეაგროვოთ და გაანალიზოთ ინფორმაცია, იმის მითითებით, აპირებთ თუ არა ჩაატაროთ ეთნოგრაფიული კვლევა, თეორიული კვლევა, შემთხვევის ანალიზი ან ფენომენოლოგიური კვლევა.
4. აღნიშნოს კვლევის ობიექტი/სუბიექტები, მაგალითად, მეოთხე კურსის სტუდენტები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონკრეტულ პროგრამაში.

მაგალითად, ერთ-ერთ ავტორმა ასე ჩემოაყალიბა მისი კვლევის მიზანი:

წინამდებარე კვლევის მიზანია, ხუთი წლის განმავლობაში გამოკვლეულ იქნას საშუალო სკოლაში ინკლუზიური განათლების პირობებში მოსწავლეებში ზნეობრივი და ეთიკური ცვლილებები.

ამ მაგალითზე შეგვიძლია დავინახოთ, რომ მიზნის ფორმულირება ყოველთვის არ ხასიათდება კარგად ჩამოყალიბებული კვლევის ყველა პარამეტრით, მაგრამ მოიცავს უმრავლეს მათგანს.

2.4. საკვლევი საკითხების ჩამოყალიბება

საკვლევი საკითხი არის ის კონკრეტული საკითხი, რომელზე პასუხსაც ეძებს მკვლევარი. ფაქტიურად, საკვლევი საკითხები არის კვლევის მიზნის გაგრძელება, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრავს, თუ რა შეკითხვებს აპირებს მკვლევარი უპასუხოს. რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის საკითხები სტრუქტურულად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

რაოდენობრივი კვლევის საკითხები ზუსტად აყალიბებენ სამიზნო ცვლადებს შორის ურთიერთობებს. რაოდენობრივი კვლევის საკვლევი საკითხი არის კითხვითი ფორმის წინადადება, რომელიც სვამს შეკითხვას ორ ან მეტ ცვლადს შორის ურთიერთობის შესახებ. გამოიყენება აღწერითი, პროგნოზის გამომხატველი და მიზეზობრივი შეკითხვები, მაგალითად:

არსებობს თუ არა დადებითი კორელაცია საქონლის ღირებულებასა და მის გაყიდვებს შორის? თუ გავზრდით საშინაო დავალების მოცულობას, გაიზრდება თუ არა უნარ-ჩვევების დონე? არის თუ არა აგრესიული შინაარსის კინოფილმების ყურება იმის მიზეზი, რომ მოზარდი იქცევა აგრესიულად?

რაოდენობრივი კვლევის საკითხი ზუსტად განსაზღვრავს იმ ცვლადებს, რომლებიც უნდა გამოკვლეული იქნას.

თვისობრივი კვლევის დროს სვამენ უფრო ზოგად შეკითხვებს პროცესისა ან მოვლენის შესახებ. თვისობრივი კვლევის შეკითხვა არის კითხვითი ფორმის წინადადება, რომელიც სვამს შეკითხვას გამოსაკვლევი პროცესის, საკითხის ან მოვლენის შესახებ. ეს არის ღია ტიპის ზოგადი შეკითხვა, რომელიც საშუალებას იძლევა სხვადასხვა პასუხის გაცემისა.

აღწერითი შეკითხვა არის შეკითხვა, რომელიც მიზნად ისახავს, განსაზღვროს, შესაძლებელია თუ არა ამა თუ იმ ცვლადის გამოყენება მომავალი შედეგის პროგნოზირებისათვის. აღწერითი შეკითხვები ცდილობენ, დაადგინონ, მაგალითად, „რა იცვლება დროთა განმავლობაში ან სხვადასხვა სიტუაციაში?“ ან „განათლების რა დონეა დამახასიათებელი კომპანიის ტოპ-მენეჯმენტისთვის?“. აღწერითი შეკითხვები ცდილობენ დაადგინონ, რა დონის / ინტენსივობის ურთიერთობა არსებობს ორ ან მეტ ცვლადს შორის.

მიზეზობრივი შეკითხვები არის ისეთი შეკითხვები, რომლებიც ადარებენ რამე მოვლენის ვარიანტებს, რათა დადგინდეს რაღაცის მიზეზი. ეს შეკითხვები ხშირად მოითხოვენ დამოუკიდებელ ცვლადთან დაკავშირებით გარკვეულ მანიპულაციებს. შემდეგ ხდება

მინიპულაციამდე და მის შემდეგ მიღებული შედეგების შედარება. მიზეზობრივი შეკითხვის მაგალითს წარმოადგენს „რას ასახელებენ მომხმარებლები თავიანთი არჩევნის მიზეზად? რატომ?“

ასეთი ზოგადი შეკითხვიდან ხშირად შეგიძლიათ გადახვიდეთ კვლევის უფრო ვიწრო ამოცანაზე და უფრო კონკრეტულ შეკითხვებზე.

სასარგებლოა ჯერ მიუთითოთ კვლევის ზოგადი მიზანი და შემდეგ ჩამოაყალიბოთ რამდენიმე კონკრეტული საკითხი, რომლებიც დაშლიან ზოგად შეკითხვას უფრო კონკრეტულ გამოსაკვლევ კომპონენტებად.

თუ თქვენ დასვით შეკითხვა თქვენი სადისერტაციო ნაშრომის შესავალში, თქვენ აუცილებლად უნდა გასცეთ მას პასუხი დასკვნით ნაწილში - ლიტერატურის ანალიზის, ანკეტირების, ინტერვიუს ან ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს შეკითხვები უნდა აისახოს ჰიპოთეზაში, რადგან, კითხვებზე პასუხის გასაცემად, საჭიროა შეამოწმოთ ჰიპოთეზის სისწორე.

2.5. ჰიპოთეზის ფორმულირება

ჰიპოთეზა წარმოადგენს მკვლევარის პროგნოზს იმ ურთიერთობისა, რომელიც არსებობს საკვლევ ცვლადებს შორის. იგი ლოგიკურად გამომდინარეობს საკვლევ კითხვებიდან, რადგან მისი ფორმულირება შეუძლებელია, თუ არა გაქვთ ჩამოყალიბებული საკვლევ კითხვები.

ჰიპოთეზა არის არსებული პრობლემის (პრობლემების) გადაჭრის მცდელობა, რომელიც ექვემდებარება შემოწმებას. ჰიპოთეზა არის იმაზე წარმოდგენა, თუ რა შეიძლება იყოს მართალი - ლოგიკურ მსჯელობასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. სამუშაო ჰიპოთეზა არ არის ხელშემშლელი მკვლევარისთვის, პირიქით, მას შეუძლია მისი მოდიფიცირება ან უარყოფა კვლევის პროცესში.

ზოგიერთი კვლევა შეიძლება დაიწყოს ჰიპოთეზის გარეშე. ზოგჯერ საჭიროა დარგის ღრმად შესწავლა (ლიტერატურის ანალიზი, პროცესზე დაკვირვება, ანკეტირებისა ან ინტერვიუების გამოყენება), სანამ მკვლევარი შეძლებს ჰიპოთეზის ჩამოყალიბებას. ასევე, როგორც არის ზემოთ აღნიშნული, სამუშაო ჰიპოთეზა, შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს ლიტერატურის ანალიზისა და დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით.

საქმიანიანი ინგლისურის სწავლების ზემოთ აღნიშნული კვლევის ჰიპოთეზა შეიძლება ჩემოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქმიანი ონლაინ მიმოწერის გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სტუდენტთა სწავლის უნარს და განუვითარებს მათ კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს.

ჰიპოთეზა ტიპიურად გამომდინარეობს ლიტერატურის ანალიზიდან ან რაიმე თეორიიდან. ჰიპოთეზა ეყრდნობა რაიმე არსებულ თეორიას და ცდილობს, მასზე დაყრდნობით პროგნოზირება მოახდინოს ცვლადებს შორის ურთიერთობებზე.

ჰიპოთეზა ასევე შეიძლება გაუჩნდეს მკვლევარს ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე, მისი შეხედულებების მიხედვით. მკვლევარმა შეიძლება პროგნოზირება მოახდინოს ემპირიულ დაკვირვებასა ან გამოცდილებაზე დაყრდნობით.

მიუხედავად ჰიპოთეზის წყაროსა, მან უნდა დააკმაყოფილოს ერთი მოთხოვნა: შესაძლებელი უნდა იყოს მისი დადასტურება ან უგულებელყოფა. შესაბამისად, კორელაციურ კვლევებში (რომლებიც ცდილობენ, დაადგინონ ორ ან მეტ ცვლადს შორის ურთიერთდამოკიდებულება) არსებობს დადებითი, უარყოფითი და ნულოვანი ჰიპოთეზა, მაგალითად:

- ა) წერითი სავარჯიშოების რაოდენობის გაზრდა გააუმჯობესებს მართლწერის უნარ-ჩვევებს.
- ბ) წერითი სავარჯიშოების რაოდენობის გაზრდა ზიანს მიაყენებს მართლწერის უნარ-ჩვევებს.
- გ) წერითი სავარჯიშოების რაოდენობის გაზრდა არ იქონიებს გავლენას მართლწერის უნარ-ჩვევებზე.

თუ ლიტერატურის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ერთ-ერთი ჰიპოთეზა არის სწორი, სამივე ჰიპოთეზის შემოწმების აუცილებლობა არ არის.

თვისობრივ კვლევაში ჩვენ არ ვზომავთ ცვლადებს, კვლევა ტარდება მნიშვნელოვანი ცვლადების აღსაწერად ან აღმოსაჩენად. ამიტომ ზნეობრივი, ეთიკური და რელიგიური საკითხები, რომლებიც ასეთი კვლევიდან გამომდინარეობს, არ ექვემდებარება ემპირიულ კვლევას. მრავალ თვისობრივ კვლევაში მკვლევარი უფრო სვამს შეკითხვებს, ვიდრე აყალიბებს ჰიპოთეზას და ზოგიერთი შეკითხვა იბადება კვლევის ჩატარების პროცესში.

2.6. ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევ თემაზე არსებული ლიტერატურასის გაცნობა დაგვეხმარება, არ დავკარგოთ დრო „ველოსიპედის ხელახლა გამოგონებაზე“.

თუ ჯერ კარგად არ იცით, რა იქნება თქვენი საკვლევ პრობლემა და თემა, კვლევის მიზანი, დაიწყეთ ლიტერატურის კითხვა დაახლოებით იმ სფეროში, რომელსაც გსურთ დაუკავშიროთ თქვენი კვლევა (მაგალითად, მე-19 საუკუნის კანონმდებლობა). თუ თქვენ დაიწყებთ ლიტერატურის კითხვას უშუალოდ თემის დამტკიცების წინ, თქვენ სერიოზული პრობლემები გელით დისერტაციაზე მუშაობისას. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს ვურჩევთ, დაიწყონ საკვლევ თემაზე ფიქრი ერთი სემესტრით ადრე, სანამ ოფიციალურად დაიწყებენ მასზე მუშაობას.

ლიტერატურის ანალიზი ან დაგიდასტურებთ თქვენ აზრებს, ან უგულებელყოფს მათ. ის დაგვეხმარებათ ჰიპოთეზის კვალიფიციურად ჩამოყალიბებაში. ფაქტიურად, იმ დროს როცა თქვენ შეხვდებით თქვენ პოტენციურ ხელმძღვანელს, თქვენ უნდა გქონდეთ 2-3 შესაძლო დარგი, რომელიც ღრმად გაქვთ შესწავლილი და რომლებთან დაკავშირებითაც გაქვთ ორიგინალური აზრები.

სად / როგორ შეიძლება იპოვოთ წყაროები? როგორ წყაროებს უნდა ეძებდეთ?

ბიბლიოთეკის კატალოგები და ინტერნეტი დაგეხმარებათ არჩევის გაკეთებაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ინტერნეტ-რესურსები შეიძლება შეადგენდეს გამოყენებული ლიტერატურის დიდ ნაწილს. წყაროების უმეტესობა, რომლებსაც თქვენ გამოიყენებთ, უნდა იყოს სამეცნიერო წიგნებიდან, სტატიებიდან, რომლებიც კვლევით პუბლიკაციებში ან რეცენზირებად ჟურნალებში შედის და სამეცნიერო კონფერენციების მასალებიდან. ზოგიერთი პუბლიკაცია ხელმისაწვდომია როგორც ტრადიციული ფორმით (ქაღალდზე), ისე ელექტრონულად. რადგან ასეთი პუბლიკაციები, მსგავსად მხოლოდ ქაღალდზე დაბეჭდილი მასალებისა, გადის რეცენზირებას, ისინი საკმაოდ საიმედოა.

ამავდროულად, ინტერნეტ საიტები, რომლებსაც არა აქვთ ქაღალდზე გამოქვეყნებული ვარიანტები, ხშირად არ არის საიმედო და თქვენ თავი უნდა აარიდოთ მათ. ოფიციალური საიტები ისეთი ორგანიზაციებისა, როგორც არის იუნესკო, გაერო, ევროკავშირი, სამინისტროები და ა.შ., საიმედოა და მათი გამოყენება შესაძლებელია.

აირჩიეთ საძიებელი ტერმინები ან საკვანძო სიტყვები. ზოგიერთ სტუდენტს ჰგონია, რომ ეს სიტყვები მხოლოდ თემის სათაურიდან მიიღება. ეს ასე არ არის. თუ თქვენ უკვე გაქვთ დისერტაციის გეგმა, ეს სიტყვები გეგმიდანაც შეგიძლიათ აიღოთ. თუ არა, მოიფიქრეთ ყველა მნიშვნელოვანი ცნება იმ თემაში, რომელსაც თქვენ იკვლევთ, სთხოვეთ ხელმძღვანელს, გირჩიოთ საკვანძო სიტყვები. მას შემდეგ, რაც ლიტერატურის ძებნამ მოგცათ გარკვეული შედეგი, წაიკითხეთ მოპოვებული ნაშრომების რეზიუმეები, ინფორმაცია ავტორების შესახებ, იმისათვის, რომ გაარკვიოთ, თუ რამდენად გამოსადეგია ეს წყარო თქვენი თემისთვის და რამდენად საიმედოა იგი. გადახედეთ პუბლიკაციებს. მხოლოდ თუ ჩათვლით მათ სასარგებლოდ, ღრმად დაამუშავეთ ისინი.

ასლი გადაიღეთ ან გააკეთეთ ელექტრონული ასლი იმ ლიტერატურის, რომლის გამოყენებასაც აპირებთ. დარწმუნდით, რომ ასლზე არის ყველა საჭირო ინფორმაცია (იხ. ქვემოთ). მოგვიანებით ამ ინფორმაციის მოპოვება შეიძლება აღმოჩნდეს ძალიან რთული ან შეუძლებელიც კი. ხაზი გაუსვით მნიშვნელოვან აზრებს, გააკეთეთ კომენტარი მინდვრებზე. ეს დაგეხმარებათ დისერტაციის წერისას.

ლიტერატურის მოსაძებნად გამოიყენეთ პროფესული მონაცემთა ბაზები, მაგალითად, ERIC (Educational Resources Information Center, რომლის სპონსორიც არის აშშ-ს მთავრობა, EBSCO (Elton Bryson Stephens Company), Intellectual Property and Science (IPS by Thomson Reuters), Google Scholar და ა.შ. ზოგიერთი პუბლიკაცია ფასიანის, მაგრამ ამ ბაზებში არის უფასო ინფორმაციაც. შეამოწმეთ, ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რომელი მონაცემთა ბაზები გვაქვს უფასოდ.

ზოგიერთი სტუდენტი ლიტერატურის მიმოხილვის თავში უბრალოდ გადმოსცემს სხვა ავტორების აზრებს. ლიტერატურის მიმოხილვა ასე არ იწერება. იგი უნდა იქნას გაანალიზებული, რაც ნიშნავს, რომ თქვენი აზრი უნდა იყოს ნაჩვენები (მიუხედავად იმისა, ემთხვევა თუ არა ის გასაანალიზებელ ნაშრომებში გამოხატულ აზრებს), უნდა განიხილოთ ის მიზეზები, თუ რატომ უჭერთ (ან არ უჭერთ) მხარს სხვა ავტორების მიერ გამოხატულ მოსაზრებებს. სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმული ერთი და იგივე აზრი არ უნდა იყოს

წარმოდგენილი ცალ-ცალკე, არამედ უნდა შეჯამდეს (მაგალითად, სმიტს, 2007; ბრაუნს, 2011, და ჯონსონს, 2012 მიაჩნიათ, რომ ...).

ლიტერატურის ანალიზი არ არის თვითმიზანი - მან უნდა მიგიყვანოთ კვლევით თავამდე: იმ საკითხებამდე, რომელთაც დააკვირდებით ან / და განიხილავთ, ცვლადებამდე, რომლებსაც გაზომავთ. თუ არა, ასეთი მიმოხილვა უსარგებლოა. მაგალითად, თუ თქვენი დისერტაცია ეხება პირველკურსელთათვის ინგლისური გრამატიკის სწავლებას და ქვეთავს ჰქვია „გრამატიკის სწავლების ისტორია“, თქვენ მასში არ უნდა განიხილოთ ისეთი საკითხები, რომლებიც ეხება სკოლამდელ ან დაწყებით სკოლაში სწავლებას.

2.7. სტრუქტურა

დისერტაცია მოიცავს სატიტულო ფურცელს (სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომი მოიცავს ასევე მეორე სატიტულო ფურცელს), მადლიერების გამომხატველ წერილს (არ არის სავალდებულო), ცხრილების, ნახატებისა და გრაფიკების სიას, შემოკლებების (ანბანური თანმიმდევრობით) სიას, მოკლე რეზიუმეს (მინიმუმ 100 სიტყვა, მაქსიმუმ 1 გვერდი), რომელსაც სტუდენტ-ბაკალავრები წერენ პროგრამის ენაზე, მაგისტრანტები - ინგლისურ, ქართულ და პროგრამის ენაზე (თუ ის განსხვავდება ამ ორიდან), ხოლო დოქტორანტები წერენ (ცალკე დოკუმენტად) ავტორეფერეტას. დისერტაციის სტრუქტურაში ასევე შედის შესავალი, ჩვეულებრივ 2-4 თავი, დასკვნები (და რეკომენდაციები), ლიტერატურის სია და დანართები.

რეზიუმე არის ნაშრომის მოკლე მიმოხილვა: მისი თემის, მიზნების, მეთოდების, შედეგებისა და დასკვნების წარდგენა. სასურველია, მიუთითოთ, ვისთვის არის თქვენი კვლევა საინტერესო.

ავტორეფერატის სტრუქტურა მოიცავს შესავალს (იგივე კომპონენტებით, რაც დისერტაციაში), ყველა თავის მოკლე მიმოხილვას, იმის სპეციალური ხაზგასმით, თუ რა წვლილი შეიტანა თვითონ მკვლევარმა, განსაკუთრებით კვლევით თავში, დასკვნებსა და იმ პუბლიკაციათა სიას, რაც დისერტანტს აქვს გამოქვეყნებული დისერტაციასთან დაკავშირებით.

2.7.1 ცხრილები და ნახატები

მხოლოდ სრულიად აუცილებელი ცხრილები და ნახატები, რომლებიც ძირითად ინფორმაციას წარმოადგენენ, უნდა განთავსდეს დისერტაციის ტექსტში, დანარჩენები თავსდება დანართებში.

2.7.2 შემოკლებები

ზომიერად გამოიყენეთ შემოკლებები. ბევრი აბრევიატურა დამაბნეველია მკითხველისთვის. თუ თქვენ ქმნით საკუთარ აბრევიატურას, მისი პირველი გამოყენებისას ჯერ სრული ტერმინი გამოიყენეთ, შენდეგ კი ფრჩილებში აბრევიატურა, მაგალითად:

"The criterion variable was preference for sick humor (PSH)".

ძალიან ცნობილი აბრევიატურების გარდა, როგორცაა გაერო, დღგ და ა.შ., მათი ნაშრომის ტექსტში პირველად გამოყენებისას ასევე საჭიროა სრული ვარიანტის მითითება. თუ ჟურნალის, რომელიც მოტანილია ლიტერატურის სიაში, სათაური აბრევიატურაა, იგი ასევე უნდა შევიდეს შემოკლებების სიაში.

2.7.3 შესავალი

შესავალი ჩვეულებრივ იწყება პრობლემის წარდგენით - საკითხის ისტორიითა და მისი მნიშვნელობის არწერით. შესავალი უნდა მოიცავდეს ცხადად ჩამოყალიბებულ პრობლემას, კვლევის მიზნებს, კვლევის შეკითხვებს, ჰიპოთეზას, ნაშრომის სიახლეს, აქტუალობას, პრაქტიკულ და თეორიულ ღირებულებას, კვლევის მეთოდებსა და დისერტაციის სტრუქტურას. ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, ჰიპოთეზა, სიახლე, თეორიული ღირებულება) არ არის სავალდებულო საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომისთვის.

ნუ დაიწყებთ დისერტაციის წერას შესავლით, ან ხელახლა გადახედეთ მას იმის შემდეგ, რომ დაასრულებთ დისერტაციაზე მუშაობას.

კვლევითი თავი („ქეისი“, ანკეტირება, ინტერვიუ, ექსპერიმენტი) უნდა მოიცავდეს:

1. კვლევის მეთოდების ზოგად დახასიათებას (თვისობრივი / რაოდენობრივი; ცვლადები; ანკეტირება, ინტერვიუ, ექსპერიმენტი, ქეისი, ტექსტის ანალიზი, ა.შ.);
2. ინფორმაციას მონაწილეთა შორის, რომელიც კვლევის ტიპის შესატყვისია (რესპოდენტთა / ექსპერიმენტის მონაწილეთა რაოდენობა, მათ შესახებ გარკვეული ინფორმაცია, მაგალითად ასაკი, პროფესიული გამოცდილება, სქესი, სოციო-ეკონომიკური სტატუსი, განათლების / ცოდნის დონე და ა.შ.; ანკეტირებისას, დარიგებული ანკეტებიდან შევსებული ანკეტების პროცენტი). კვლევის ეთიკა მოითხოვს, რომ კვლევაში მონაწილეები იყვნენ მოხალისეები და მათი მონაწილეობა - ანონიმური;
3. კონტექსტის აღწერა (სად და როდის ჩატარდა კვლევა) და პროცედურა (როგორ იზომებოდა ცვლადები, როგორ იყო უზრუნველყოფილი შედეგების / პროცედურის სანდოობა და საიმედოობა;
4. შედეგები, მათი ანალიზი და გარჩევა.

2.7.4 სტატისტიკური მონაცემების წარდგენა

სტატისტიკური შედეგები უნდა იყოს წარმოდგენილი ცხრილების სახით (თუ საჭიროა, მათში გამოყენებული ტერმინების ახსნით) და ახსნილი სიტყვიერად.

მიაქციეთ ყურადღება განსხვავებას ტერმინებს შორის: მიმოხილვა, ქეისი (შემთხვევის ანალიზი), ინტერვიუება და ანკეტირება მხოლოდ ადგენენ არსებულ მდგომარეობას. ექსპერიმენტი მოიცავს ორ ჯგუფს: საკონტროლოს (სადაც პროცესი ცვეულებრივად მიმდინარეობს) და ექსპერიმენტულს (სადაც რღაც ინოვაციური მიდგომაა გამოყენებული). ექსპერიმენტის მიზანია, დავადგინოთ, თუ შემოთავაზებული მიდგომა უფრო ეფექტურია, ვიდრე ტრადიციული.

2.7.5 ციტირება და სხვა ავტორის აზრის მოყვანა

არსებობს ციტირებისა და სხვა ავტორის აზრის მოყვანის სხვადასხვა სტილი, შხსუ-ში ჩვენ ვიყენებთ ე.წ. APA სტილს. ნებისმიერი სტილის გამოყენებისას, არის ძირითადი ინფორმაცია, რომელიც უნდა იყოს წარმოდგენილი: ავტორი (გვარი, ინიციალებით ან სრული სახელით), სათაური, გამოცემის წელი, ჟურნალის, წიგნის სახელწოდება და ა.შ.

კვლევითი ნაშრომის ტექსტში იწერება მხოლოდ ავტორის გვარი და გამოცემის წელი. თუ მოტანილი აზრი ციტატას წარმოადგენს, იგი უნდა იყოს მოტანილი ბრჭყალებში და გვერდი უნდა იყოს მითითებული, მაგალითად:

მსგავსად ლოფერმა (Laufer, 1986) და ნეიშენმა (Nation, 1990), უილკინსმა (Wilkins, 1972) გამოხარტა აზრი, რომ „გრამატიკის გარეშე ცოტა რამის ტქმა შესაძლებელი, ხოლო ლექსიკის გარეშე - არაფერი“ (გვ. 2).

სხვა შემთხვევაში გვერდის მითითება სასურველია, მაგრამ არ არის სავალდებულო. ჩვეულებრივად, ინიციალებსა და სრულ სახელებს არ ვწერთ, თუმცა, მკვლევარის პირველად ხსენებისას დასაშვებია მისი სახელის მოტანა, მაგალითად: სტივენ ქრეშენმა (Krashen, 1975) პირველად განასხვავა ერთმანეთისგან „სწავლა“ და „შეთვისება“.

ციტატა, რომელის 50 სიტყვაზე გრძელია, უნდა იყოს დაბეჭდილი ცალკე აბზაცად, რომელიც ცოტა უფრო მოკლეა, ვიდრე ძირითადი ტექსტი, ნაკლები დამორებით სტრიქონებს შორის და ბრჭყალების გარეშე. წერტილი არის წინადადების ბოლოს და შემდეგ მითითებულია გვერდი. სხვა შემთხვევებში (როგორც ზემოთ მოტანილ მაგალითში) წერტილი იწერება გვერდის მითითების შემდეგ.

რიჩარდსმა და რენანდიამ (Richards and Renandya, 2002) აღმოაჩინეს, რომ

ლექსიკა არის ენის ცოდნის ძირითადი კომპონენტი; იგი დიდ წილად უზრუნველყოფს მოსმენის, საუბრის, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევებს. მდიდარი ლექსიკის გარეშე მოსწავლეები ხშირად ვერ ავლენენ საკუთარ პოტენციალს და შესაძლოა მოტივაცია დაკარგონ. (გვ. 252)

გახსოვდეთ, რომ, თუ ავტორი ნახსენებია ტექსტში, მისი პუბლიკაცია უნდა იყოს შეტანილი ლიტერატურის სიაში და პირიქით.

ციტირება და სხვა ავტორის აზრის მოყვანა:

1) სტატია ჟურნალში: გვარი, ინიციალები. (წელი). სათაური (პირველი სიტყვის გარდა დიდი ასოების გარეშე). ჟურნალის სახელწოდება (დახრილი, ყველა სიტყვა იწყება დიდი ასოთი). ნომერი, გამოშვება, გვერდები:

Tabatabaei, O., & Goojani, A. H. (2012). The impact of text-messaging on vocabulary learning of Iranian EFL learners. *Cross-Cultural Communication*, 8(2), 47-55

(ან შემოკლება „გვ“. დაწერეთ ან უბრალოდ მძიმით გამოყავით ისინი ყველა სტატიასთან დაკავშირებით: 8 (2), p. 47-55” ან 8 (2): 47-55”, არ დაწეროთ ხან ერთ და ხან მეორე ნიმუშით.

2) წიგნიდან სტატია: გვარი, ინიციალები. (წელი). სათაური (პირველი სიტყვის გარდა დიდი ასოების გარეშე). წიგნის ავტორის (რედაქტორის) გვარი, ინიციალები. წიგნის სათაური (დახრილი შრიფტით, დიდი ასოებით). გამოცემის ადგილი: გამომცემლობა, გვერდები:

Yahya, N. (2007). Second language vocabulary development and instruction. In H. Zainuddin, N. Yahya, C. A. Morales-Jones, & E. N. W. Ariza (Eds.), *Fundamentals of Teaching English to Speakers of Other Languages in k-12 Mainstream Classrooms*. Dubuque, IA: Kendal/Hunt, p.163-181

3) წიგნი: გვარი, ინიციალები. (წელი). სათაური (დიდი ასოებით). გამოცემის ადგილი: გამომცემლობა

Underwood, J. H. (1984). *Linguistics, Computers, and the Language Teacher: A Communicative Approach*. Rowley, MA: Newbury House

თუ წიგნს არა ჰყავს ავტორი ან რედაქტორი, მის ნაცვლად შეიძლება დაწვეროთ ორგანიზაცია:

UNESCO. (1998). *Learning to live together in peace and harmony: values education for peace, human rights, democracy and sustainable development for the Asia-Pacific Region; a UNESCO/APNIEVE sourcebook for teachers education and tertiary level education*. Bangkok, Thailand: UNESCO PROAP

თუ წიგნი რამდენიმე ჯერ იყო გამოცემული, აღნიშნეთ, რომელი გამოცემაა ეს (მაგალითად: 4th ed.). თუ გამოცემის წელი არ არის მითითებული, აღნიშნეთ n.d. (არ არის დათარიღებული).

ელექტრონული წყაროები: არ დაწეროთ მხოლოდ ინტერნეტ მისამართი. ზოგჯერ შეუძლებელია ამ ინფორმაციით წყაროს პოვნა. ინფორმაცია უნდა იყოს მოტანილი ნაბეჭდი პუბლიკაციების მაქსიმალურად მსგავს ფორმატში. თუ ვებ-გვერდს ავტორი არა ჰყავს, მიუთითეთ ორგანიზაცია ან ვებ-გვერდის დასახელება. თუ არც ერთი არ არის ხელმისაწვდომი, დაიწყეთ პირდაპირ სათაურით. ბოლოს უნდა მიუთითოთ, თუ როდის და რა მისამართიდანაა მასალა აღებული, მაგალითად:

Suits, B. (1967). What Is a Game? *Philosophy of Science*, Vol. 34. Retrieved April 21, 2014 from <http://www.stsintl.com/articles/whatisagame.html>

NCTE / IRA. (2012). *Standards for the English Language Arts*. September 1, 2014 from <http://www.ncte.org/standards/ncte-ira>

Georgian National Standard. (2012). (In Georgian). Retrieved May 20, 2014 from http://eqe.ge/geo/textbook_approval/textbook_approval_2011

თუ თქვენ მოიძიეთ ელექტრონული წყარო სხვა სტატიაში და იყენებთ მას თქვენ კვლევაში, დარწმუნდით, რომ ეს წყარო კიდევ არსებობს. დაწერეთ ის თარიღი, როცა თქვენ გაეცანით მას.

ლიტერატურის სია იწერება ანბანურად. ერთი და იგივე ავტორის პუბლიკაციებს შორის ჯერ წერთ უახლესს, შემდეგ უფრო ძველს. თუ თქვენ გამოიყენეთ ერთი ავტორის რამდენიმე პუბლიკაცია, რომელიც ერთსა და იმავე წელს გამოვიდა, მათი მოტანა შემდეგნაირადაა შესაძლებელი: Stone, 2012a and Stone 2012 b. თუ ერთ პუბლიკაციას ერთი ავტორი ჰყავს, სხვა

პუბლიკაციაში კი იგივე ავტორს თანავტორი ჰყავს, ჯერ მოდის ერთავტორიანი პუბლიკაცია, შემდეგ კი - ორი ან მეტი ავტორისა, მაგალითად:

Schmitt, N. (2010). *Researching Vocabulary: A Vocabulary Research Manual*. New York: Palgrave Macmillan

Schmitt, N. (1997 a). *Vocabulary learning strategies*. In Schmitt, N. and McCarthy, M. (eds), *Vocabulary: Description, Acquisition, and Pedagogy*. Cambridge: Cambridge University Press. p. 17-26

Schmitt, N. (Ed.) (1997b). *Vocabulary: Description, acquisition, and pedagogy*. Cambridge: Cambridge University Press.

Schmitt, N. and Meara, P. (1997). *Researching vocabulary through a word knowledge framework: Word associations and verbal suffixes*. *Studies in Second Language Acquisition* 19, p. 17–36

2.7.6 ენა

წერის მანერა ახდენს გავლენას მკითხველზე. ამიტომ თქვენი ნაწერი უნდა იყოს გასაგებად ჩამოყალიბებული. ნუ გამოიყენებთ ძალიან გრძელ წინადადებებს, თუ ტექსტი ამის გამო ძნელად აღიქმება.

ყურადღებით გამოიყენეთ პირის ნაცვალსახელები, თუ წინა წინადადება ერთზე მეტ ქვემდებარეს მოიცავს. გამოიყენეთ აკადემიური ლექსიკა, თავი შეიკავეთ ჟარგონის გამოყენებისაგან. არ გამოიყენოთ შემოკლებული ფორმები (don't, isn't). მოერიდეთ ძახილის ნიშნის გამოყენებას.

აზვაცების მოცულობა უნდა იყოს ზომიერი. დაიწყეთ ახალი აზვაცი ყოველთვის, როცა ახალ აზრზე / თემაზე გადადიხართ.

თავი აარიდეთ დისკრიმინაციულ ენას. ნუ იყენებთ მამრობით ნაცვალსახელს, როცა იგულისხმება ორივე სქესის პირები. სქესზე დაფუძნებულ დისკრიმინაციას შეგიძლიათ თავი აარიდოთ, თუ პარაფრაზს გამოიყენებთ. მაგალითად, წინადადება "The participant rated his preference for each joke" უნდა შეიცვალოს წინადადებით "The participant rated each joke for preference" ან "Participants rated their preferences for each joke." თუ ორივე სქესის მითითება გინდათ, თავი აარიდეთ "s/he"-ს გამოყენებას, განსაკუთრებით, თუ ეს მრავალჯერ მეორდება. მართალია, ქართულ ენაში ნაცვალსახელები არ განსხვავდება სქესის მიხედვით, არსებობს მცირეოდენ არსებითი სახელები (მაგალითად, სტიუარდესა), რომლებიც სქესს გამოხატავენ და მათ ფრთხილად უნდა მოეპყროთ.

მოერიდეთ არასასიამოვნო სიტყვების გამოყენებას: არ თქვათ „ინვალიდი სტუდენტი“, თქვით „შეზღუდული უნარის მქონე სტუდენტი“.

2.7.7 დრო-ასპექტის ფორმები

კვლევით ნაშრომში ანგარიში ძირითადად წარსულ დროში იწერება, რადგან მასში მომხდარი მოვლენებია აღწერილი (რა შეასრულეს და მოიპოვეს მკვლევარებმა). აწმყო დრო უფრო მისაღებია შესავალ ნაწილში ან დისკუსიის სექციაში, როცა თქვენ ანალიზებთ თეორიებს და შედეგების სექციაში, როცა აღწერთ ინფორმაციას ცხრილებში / ნახაზებზე / გრაფიკებზე.

ზოგჯერ დასაშვებია მომავალი დროის გამოყენება. ერთ აბზაცში და, მითუმეტეს, წინადადებაში დრო არ უნდა შეიცვალოს.

2.7.8 რიცხვი

სიყვები ერთმანეთთან უნდა იყოს შეთანხმებული რიცხვში, მაგალითად, წინადადება "Each participant made their respons-es in writing." უნდა შეიცვალოს წინადადებით "Participants made their responses in writing." („ყველა მონაწილემ“ და არა „ყველა მონაწილეებმა“).

2.7.9 პირი

ტრადიციულად ანგარიშების უმრავლესობა იწერებოდა მესამე პირში (ის, ისინი). დღესდღეობით პოპულარული ხდება პირველი პირიც გამოყენება (მე, ჩვენ). APA-ს სახელმძღვანელო გვიჩვენებს მხოლოდ მაშინ მივმართოთ პირველ პირს, როცა ეს აუცილებელია. ნუ გადადიხართ ერთი ნაცვალსახელიდან მეორეზე (ხან „მე ჩავატარე გამოკითხვა“ და ხან „ჩვენ მივიღეთ შემდეგი შედეგები“). ქართულ ენაში გამოიყენეთ უპირო წინადადებები (არა „მე ჩავატარე კვლევა“, არამედ „კვლევა ჩატარდა“).

2.7.10 გვარი

ინგლისურ ენაში უმჯობესია, გამოვიყენოთ მოქმედებითი გვარი ვიდრე ვნებითი გვარი. ქართულში ვნებითი გვარის გამოყენება მისაღებია.

ერთ ტექსტში გამოიყენეთ გრამატიკის ან ინგლისური, ან ამერიკული ნორმები გრამატიკაში და მართლწერაში, მხოლოდ ციტატებში არ შეცვალოთ მართლწერა (მაგალითად, ნუ წერთ ზოგჯერ 'behavior' და სხვა დროს 'behaviour').

თავი III. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომისა და სადოქტორო დისერტაციის სტრუქტურა

3.1 ბეჭდვა

გამოიყენეთ შრიფტი Times New Roman ინგლისურისთვის და თურქულისთვის და Sylfaen - ქართულენოვანი ტექსტებისთვის.

თავის სათაური უნდა იყოს აკრეფილი 14 ზომის შრიფტით, დიდი ასოებით, ქვესათაურები - 12 ზომით, ტექსტი - 12 ზომით. სტრიქონებს შორის დაშორება უნდა იყოს 1.5. აბზაცები უნდა იყოს გამოყოფილი (შეწეული ან აბზაცებს შორის დაშორების დაცვით). ნუ იყენებთ დახრილ შრიფტს (გარდა ლიტერატურის მოყვანისას ან ციტირებისას).

უმჯობესია, სათაურები განთავსდეს ხელმარცხნივ. ყოველ შემთხვევაში, ყველა სათაური უნდა გაფორმდეს ერთნაირად - მარჯვენა მინდორზე დაწყებული ან სტრიქონის ცენტრში.

შესავალი, ყოველი თავი, დასკვნები და ლიტერატურის სია უნდა დაიწყოს ახალი გვერდიდან. ქვე-თავებს შორის უნდა იყოს 1-2 სტრიქონი გამოტოვებული. ცხრილის სათაური უნდა იყოს იმავე გვერდზე რაც თვითონ ცხრილი (ნუ გაყოფთ მათ). ქვე-თავის სათაური არ უნდა ასრულებდეს გვერდს (მას სულ ცოტა ერთი სტრიქონი უნდა მოსდევდეს).

3.2 ქალაქი

გამოიყენება A4 ფორმატის, კარგი ხარისხის ქალაქი, საპორტრეტო ორიენტაციით.

3.3 მინდვრები

2,5 სანტიმეტრი ქვემოთ და ზემოთ, 3 სმ - მარცხნივ და 1,5 - მარჯვნივ

3.4 გვერდების დანომრვა

გვერდები უნდა დაინომროს ქვემოთ, შუაში. ყდა არ უნდა დაინომროს. ყდის მეორე გვერდი (სამაგისტრო ნაშრომში და სადოქტორო დისერტაციაში), მაღლობის წერილი, ცხრილების, ნახატებისა და გრაფიკების სია, შემოკლებების სია, რეზიუმე და სარჩევი უნდა დაინომრონ რომაული ცოფრებით. არაბული ცოფრებით დანომრვა იწყება შესავლიდან. როცა აღვნიშნავთ ნაშრომის მოცულობას, ვგულისხმობთ გვერდთა რაოდენობას შესავლიდან დასკვნების ბოლომდე (ლიტერატურის სიისა და დანართების გარეშე). ეს არის 30-40 გვერდი საბაკალავრო, 60-70 გვერდი სამაგისტრო ნაშრომისთვის და 120-150 გვერდი სადოქტორო დისერტაციისთვის (+/- 10%).

ყველა ცხრილი და ნახატი უნდა დასათაურდეს და დაინომროს. სათაური უნდა დაიწეროს ერთ ადგილას მთელ ნაშრომში - ცხრილის თავზე ან მის ქვემოთ. ცხრილის ნომერი უნდა მოიცავდეს თავის ნომერს, წერტილს და მოცემულ თავში მოტანილი ცხრილის ნომერს, მაგალითად 2.1 (= პირველი ცხრილი მეორე თავში).

ცხრილი 2.2. ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარე დაწესებულებების სია
თუ თქვენ თვითონ შეადგინეთ ცხრილი, ეს უნდა იყოს აღნიშნული ტექსტში. თუ რაიმე წყაროს იყენებთ, ეს უნდა იყოს მითითებული, მაგალითად:

(Ministry of Economics, 2012: 17)

თუ თქვენ გამოიყენებთ სხვისი ცხრილი, მაგრამ მოახდინეთ მისი მოდიფიცირება, ესეც უნდა იყოს მითითებული.

3.5 ამობეჭდვა და აკინძვა

დისერტაცია უნდა იყოს წარმოდგენილი ამობეჭდილი სახით, ფურცლის ერთ გვერდზე, და აკინძული სპირალით. იგივე ეხება სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატს. ორ ან სამ (ინგლისურ, ქართულ და თურქულ) ენაზე წარმოდგენილი ავტორეფერატი ცალ-ცალკე უნდა აიკინძოს.

3.6 ელექტრონული წარდგენა

სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაცია უნდა იყოს ქაღალდზე და ელექტრონულად წარდგენილი – დისკზე, PDF ფორმატში. უნივერსიტეტს აქვს უფლება, გამოაქვეყნოს იგი ვებ-გვერდზე.

თავი IV. ეთიკა კვლევაში, პლაგიატი

4.1 ეთიკა

ეთიკა არის პრინციპები და წესები, რომლებიც გვეხმარება ღირებულებათა დაცვაში.

კვლევის ეთიკა არის ის პრინციპები, რომლებიც დაეხმარებიან მკვლევარებს, ჩაატარონ კვლევა ეთიკის ნორმების დაცვით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეთიკური საკითხია ინფორმაციის გაყალბება მეცნიერების მიერ. ყველაზე სერიოზული დანაშაული, რაც მეცნიერს შეუძლია ჩაიდინოს, არის შედეგების გაყალბება (არარსებული მონაცემების ფაბრიკაცია ან რეალური შედეგების შეცვლა).

სხვა სერიოზული ეთიკური საკითხები:

ნაწილობრივი პუბლიკაცია - ერთი კვლევისთვის მონაცემების შეგროვება და შემდგომ რამდენიმე სტატიის პუბლიკაცია, რომელიც ეფუძნება ამ მონაცემთა გარკვეულ ნაწილს (ფაქტიურად, მონაცემთა ნაწილის დამალვა). თუმცა, მასშტაბური კვლევის შემთხვევაში, სრულიად მისაღებია რამდენიმე სტატიის პუბლიკაცია ამ მონაცემებზე დაყრდნობით, თუ ისინი ეხება სხვადასხვა კვლევით საკითხს.

პუბლიკაციის დუბლირება - ერთი და იგივე მონაცემების გამოქვეყნება ერთზე მეტ პუბლიკაციაში. ზოგიერთ ქვეყანაში / დაწესებულებაში მისაღებად ითვლება, თუ მკვლევარი წარმოადგენს კონფერენციაზე (უმეტესწილად პუბლიკაციის გარეშე) მოხსენებას, რომელიც უკვე იქნა გამოქვეყნებული სტატიის სახით, მაგრამ წარმოადგენს ინტერესს კონფერენციის მონაწილეებისთვის. პირველ როგში, მოხსენების პირველწყარო აუცილებლად უნდა აღინიშნოს კონფერენციაზე. გარდა ამისა, ასეთი მოხსენება არ შეიძლება ჩაითვალოს კიდევ ერთ პუბლიკაციად. შხსუ-ში მთლიანად ვარიდებთ ასეთ დუბლირებას თავს.

შედეგების გამოყენება - არსებობს საშიშროება შედეგების არასწორი გამოყენების ან ინტერპრეტირებისა. მეცნიერის ეთიკური მოვალეობაა, წინააღმდეგობა გაუწიოს ასეთ პრაქტიკას. ხშირად ეს ნიშნავს საჯარო გამოსვლას ასეთი შემთხვევების წინააღმდეგ. მონაცემების, მეთოდების ან შედეგების გაყალბება გაუმართლებელია.

4.2 პლაგიატი

წარმოშობილი ლათინური სიტყვისგან *plagiarius* ('მომტაცებელი'), პლაგიატი ეხება აკადემიური პატიოსნების პრობლემას, რომელიც განისაზღვრება როგორც „ავტორობის ყალბი მტკიცებულება: სხვა პიროვნების აზრის გამოცხადება საკუთარ აზრად“ (Alexander Lindey, 1952. *Plagiarism and Originality*, New York: Harper). პლაგიატი არის ინტელექტუალური ქონების მითვისება. მკაცრად რომ ვთქვათ, იგი არის უფრო ზნეობრივი და ეთიკური საკითხი, ვიდრე იურიდიული, რადგან პლაგიატის უმეტესი შემთხვევა არ არღვევს საავტორო უფლებებს და არ

არის კრიმინალური დანაშაული. მიუხედავად ამისა, პლაგიატი ხშირად მკაცრად ისჯება, დაწყებული საგნის ვერჩაბარებით დამთავრებული სასწავლებლიდან გარიცხვით, ასევე მოპოვებული ხარისხის ანუღირებით.

პლაგიატის ფორმებს შორის არის:

- ა) ადეკვატური მითითების არგამოყენება (სხვისი აზრის საკუთარ აზრად გასაღება - ნამდვილი ავტორი ნახსენები არ არის);
- ბ) ავტორისათვის ისეთი აზრის მიწერა, რომელიც მას არ გამოუთქვამს;
- გ) ციტატის მოტანა ბრჭყალების გარეშე.

თუ ციტატა მოგვაქვს ბრჭყალების გარეშე (თავი რომ ავარიდოთ ჭარბი ოდენობის ციტატების გამოყენებას), მოვალე ვართ, მოვახდინოთ მისი პარაფრაზირება (ჩვენი სიტყვებით აზრის გადმოცემა). პარაფრაზირება არ ნიშნავს უბრალოდ ზოგიერთი სიტყვის გამოტოვებას / დამატებას / სინონიმით შეცვლას. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ წინადადების სხვა სტრუქტურა, ფაქტიურად, ჩვენი სიტყვებით მოვყვეთ ავტორის აზრი.

APA-ს სტილის შესაბამისად, ციტირებისას / ავტორის აზრის მითითებისას გამოყენებული წყარო უნდა იყოს მითითებული ფრჩხილებში ავტორის გვარის, გამოცემის წლისა და გვერდის მითითებით. თუ იდეა არ არის კონკრეტულ გვერდზე გამოხატული, არამედ მთელი ნაშრომის არსს წარმოადგენს, გვერდის მითითება არ არის სავალდებულო. ნაშრომის ტექსტში ყველა აღნიშნული ნაშრომი უნდა იყოს მითითებული ლიტერატურის სიაში და პირიქით, ყველა ნაშრომი, რაც ჩამოთვლილია ლიტერატურის სიაში, უნდა იყოს მოხსენებული კვლევითი ნაშრომის ტექსტში.

დანართი 1. სატიტულო გვერდები

წინამდებარე სატიტულო გვერდები სანიმუშო ხასიათისაა

გთხოვთ იხელმძღვანელოთ შესაბამისი ფორმით (R03F15, R04F08, ან R05F22).

ა) საბაკალავრო ნაშრომისათვის



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
{ფაკულტეტის სახელწოდება} ფაკულტეტი
{პროგრამის სახელწოდება} პროგრამა

{საბაკალავრო ნაშრომის სათაური}
{ქვე-სათაური – არსებობის შემთხვევაში}

{სტუდენტის სახელი და გვარი}
საბაკალავრო ნაშრომი {მიუთითეთ მიმართულება, მაგ. განათლების
მეცნიერებებში}

ხელმძღვანელი:
{ხელმძღვანელის სახელი, გვარი, წოდება}

თბილისი, {წელი}



ბ) სამაგისტრო ნაშრომისათვის



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
{ფაკულტეტის სახელწოდება} ფაკულტეტი
{პროგრამის სახელწოდება} პროგრამა

{სამაგისტრო ნაშრომის სათაური}
{ქვე-სათაური – არსებობის შემთხვევაში}

{სტუდენტის სახელი და გვარი}
სამაგისტრო ნაშრომი {მიუთითეთ მიმართულება, მაგ. განათლების
მეცნიერებებში}

თბილისი, {წელი}

სამეცნიერო ხელმძღვანელი: {სახელი, გვარი და აკადემიური წოდება}
(სახელი, გვარი და აკადემიური წოდება)

ვადასტურებ, რომ ნაშრომი შესრულებულია მიმართულების შესაბამისად, მასში წარმოდგენილია სიახლე, გააჩნია სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა და აკმაყოფილებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ფორმატს.

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

რეცენზენტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება):

1. {სახელი, გვარი & აკადემიური წოდება}

2. {სახელი, გვარი & აკადემიური წოდება}

ვადასტურებ, რომ წინამდებარე ნაშრომი მეკუთვნის მე, წარმოდგენილია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული ფორმატით.

(მაგისტრანტის ხელმოწერა)



გ) სადოქტორო დისერტაციისათვის



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
{ფაკულტეტის სახელწოდება} ფაკულტეტი
{პროგრამის სახელწოდება} პროგრამა

{სადოქტორო დისერტაციის სათაური}
{ქვე-სათაური – არსებობის შემთხვევაში}

{სტუდენტის სახელი და გვარი}
სადოქტორო დისერტაცია {მიუთითეთ მიმართულება, მაგ. განათლების
მეცნიერებებში}

თბილისი, {წელი}

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

{სახელი, გვარი}

(სახელი, გვარი)

{მაგ.: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი}

(აკადემიური წოდება)

ვადასტურებ, რომ ნაშრომი შესრულებულია მიმართულების შესაბამისად, მასში წარმოდგენილია სიახლე, გააჩნია სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა და აკმაყოფილებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ფორმატს.

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. {სახელი, გვარი & აკადემიური წოდება}

2. {სახელი, გვარი & აკადემიური წოდება}

3. {სახელი, გვარი & აკადემიური წოდება}

(არსებობის შემთხვევაში)

ოპონენტები (ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. {სახელი, გვარი & აკადემიური წოდება}

2. {სახელი, გვარი & აკადემიური წოდება}

3. {სახელი, გვარი & აკადემიური წოდება}

(არსებობის შემთხვევაში)

ვადასტურებ, რომ წინამდებარე ნაშრომი მეკუთვნის მე, წარმოდგენილია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული ფორმატით და ერთვის დისერტაციის შესაბამისი პუბლიკაციები.

(დოქტორანტის ხელმოწერა)



საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომისა და სადოქტორო დისერტაციის
მომზადების გზამკვლევი



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
{ფაკულტეტის სახელწოდება} ფაკულტეტი
{პროგრამის სახელწოდება} პროგრამა

{სადოქტორო დისერტაციის სათაური}
{ქვე-სათაური – არსებობის შემთხვევაში}

{სტუდენტის სახელი და გვარი}
{მიმართულება, მაგ. განათლების მეცნიერებები} სადოქტორო დისერტაციის
ვრცელი რეზიუმე

თბილისი, {წელი}

დანართი 2. სარჩევის ნიმუში

სარჩევი	
სამადლობელო სიტყვა -----	I
რეზიუმე -----	II
ცხრილების, გრაფიკებისა და შემოკლებების სია -----	V
შესავალი -----	1
I თავი	
1.1. -----	9
1.2. -----	15
1.3. -----	27
II თავი	
2.1. -----	39
2.1.1. -----	54
2.1.2. -----	74
2.2. -----	81
III თავი	
3.1 -----	97
3.2. -----	103
3.3. -----	126
დასკვნა -----	135
ლიტერატურის სია -----	142
დანართები:	
დანართი 1. ცხრილები	
დანართი 2. ნახატები	
დანართი 3. შემოკლებები	
დანართი 4. -----	

დანართი 3. სადოქტორო დისერტაციის ვრცელი რეზიუმე (სანიმუშო სტრუქტურა)

- თავფურცელი (R05F23)
- შესავალი
 - მიზანი
 - პრობლემა/ჰიპოტეზა
 - კვლევის მეთოდები
 - სიახლე
 - თეორიული მნიშვნელობა
 - კვლევის პრაქტიკული დანიშნულება
 - დისერტაციის სტრუქტურა
- დისერტაციის მოკლე შინაარსი
 - თავი I
 - ...
 - I თავის შეჯამება
 - თავი II
 - ...
 - II თავის შეჯამება
 - თავი III
 - ...
 - III თავის შეჯამება
 - თავი IV (არსებობის შემთხვევაში)
 - ...
 - IV თავის შეჯამება
- კვლევის ფარგლები
- დასკვნები და რეკომენდაციები
- გამოყენებული ლიტერატურის სია

დანართი 4. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის, დისერტაციის შემოწმების ფურცელი

კრიტერიუმი	საფეხური		
	საბაკალავრო	სამაგისტრო	სადოქტორო
პარამეტრები			
სატიტულო ფურცელი	✓	✓	✓
შიდა ყდა, ხელმოწერილია		✓	✓
სარჩევი და სტრუქტურა	✓	✓	✓
ფორმატი: მინდვრები, შრიფტი და მისი ზომა, სტრიქონებს შორის დაშორება, აბზაცები	✓	✓	✓
მოცულობა	30-40 გვერდი +/- 10% (შესავლის-წინა გვერდების, ლიტერატურის სიისა და დანართების გარეშე)	60-70 გვერდი +/- 10% (შესავლის-წინა გვერდების, ლიტერატურის სიისა და დანართების გარეშე)	110-150 გვერდი +/- 10% (შესავლის-წინა გვერდების ლიტერატურის სიისა და დანართების გარეშე)
ლიტერატურის სიის ფორმატი ტექსტში და ნაშრომის ბოლოს (APA სტილში)	✓	✓	✓
წყაროების ოდენობა და ხარისხი	მინ. 20 (თავი აარიდეთ ვებ- გვერდებს)	მინ. 40 (სამეცნიერო სტატიები, წიგნები, სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციები)	ასზე მეტი დასახელება (სამეცნიერო სტატიები, წიგნები, სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციები), მათ შორის „კლასიკური“ ნაშრომები და ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომები (80%)

კრიტერიუმი	საფეხური		
	საბაკალავრო	სამაგისტრო	სადოქტორო
პარამეტრები			
რეზიუმე	1 გვერდი (ინგლისურად)	1 გვერდი (ინგლისურად, ქართულად და პროგრამის ენაზე)	1 გვერდი პროგრამის ენაზე და ავტორეფერატი (16-20 გვერდი ინგლისურად, ქართულად და პროგრამის ენაზე)
შესავალი	მიზნები, პრობლემა, აქტუალობა, კვლევის მეთოდები, პრაქტიკული ღირებულება, სტრუქტურა	მიზნები, პრობლემა, აქტუალობა, სიახლე, ჰიპოთეზა, კვლევის მეთოდები, თეორიული ან პრაქტიკული ღირებულება, სტრუქტურა	მიზნები, პრობლემა, აქტუალობა, სიახლე, ჰიპოთეზა, კვლევის მეთოდები, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, სტრუქტურა
კვლევითი ნაწილი / თავი	არ არის სავალდებულო	კვლევის ტიპი (თვისობრივი/ რაოდენობრივი, დაკვირვებითი, case study, ანკეტირება ღია ან / და დახურული კითხვებით, ინტერვიუება, ექსპერიმენტი)	კვლევის ტიპი (თვისობრივი/ რაოდენობრივი, დაკვირვებითი, case study, ანკეტირება ღია ან / და დახურული კითხვებით, ინტერვიუება, ექსპერიმენტი)
დასკვნები	✓	უნდა შეესაბამებოდეს პრობლემის, კვლევის მიზნებისა და ჰიპოთეზის ფორმულირებას	უნდა შეესაბამებოდეს პრობლემის, კვლევის მიზნებისა და ჰიპოთეზის ფორმულირებას
ენა: ცხადი, აკადემიური სტილი, არა შეურაცმყოფელი	✓	✓	✓
შემოკლებების სია	თუ ბევრია გამოყენებული	თუ ბევრია გამოყენებული	თუ ბევრია გამოყენებული
ცხრილები, გრაფიკები, სურათები: ყველა დასათაურებულია და დანომრილი	✓ (არსებობის შემთხვევაში)	✓	✓



საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომისა და სადოქტორო დისერტაციის
მომზადების გზამკვლევი

კრიტერიუმი	საფეხური		
	საბაკალავრო	სამაგისტრო	სადოქტორო
პარამეტრები			
პლაგიატი	მეცნიერ-ხელმძღვანელი აგებს პასუხს	პლაგიატობის შემოწმებაზე უფლებამოსილი პირის დასკვნა	პლაგიატობის შემოწმებაზე უფლებამოსილი კომისიის დასკვნა

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შზსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

შზსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს. საზოგადოების ყველა წევრს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს უკეთესი განათლება, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, გვარის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, მენტალური, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

გამოსცა:

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, თბილისი, 0131
საქართველოს რესპუბლიკა
www.ibsu.edu.ge
contact@ibsu.edu.ge